პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 239 (13324) | შაბათი, 9 ოქტომბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

დანიის პრემიერ-მინისტრი მოსკოვში

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 7 ოქტომბერს მოსკოვში ჩამოვიდა დანიის პრემიერ-მინისტრი ენს ოტო კრაგი მეუღლითურთ.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო დანიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, დანიის მთავრობის მეთაურს შეხვდნენ ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი და სხვა ოფიციალური პირები.

7 ოქტომბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართა დანიის პრემიერ-მინისტრის ენს ოტო კრაგისა და მისი მეუღლის ქალბატონ ჰელე ვირკნერ კრაგის პატივსაცემად.

დანიის პრემიერთან ერთად სადილზე იყვნენ მისი თანმხლები პირები.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები.

8 ოქტომბერს კრემლში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა დანიის პრემიერ-მინისტრს ენს ოტო კრაგს. საუბრის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირისა და დანიის ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცების საკითხები, აგრეთვე ერთმანეთს გაუზიარეს აზრი თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ ურთიერთსაინტერესო პრობლემაზე. საუბარმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

მოსკოვი, 8 ოქტომბერი. დღეს დანიის პრემიერ-მინისტრი ენს ოტო კრაგი კრემლში ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ნ. ს. არუთინიანს.

შეხვედრის დროს ნ. ს. არუთინიანი და ენს ოტო კრაგი მეგობრულად ესაუბრნენ ერთმანეთს.

მოსკოვი, 8 ოქტომბერი. დანიის პრემიერ-მინისტრმა ენს ოტო კრაგმა საუზმე გამართა დანიის საელჩოში.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. კ. ბაიბაკოვი და სხვა ოფიციალური პირები.

დანიის მხრივ საუზმეზე იყვნენ ოფიციალური პირები, რომლებიც პრემიერ-მინისტრთან ერთად ჩამოვიდნენ, და დანიის ელჩი სსრ კავშირში კრისტიან დ. ჰოლტენეგერტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პროფესიულ კავშირთა XIII ყრილობას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან საქართველოს პროფკავშირთა XIII ყრილობის დელეგატებს და მათი სახით ჩვენი რესპუბლიკის პროფკავშირთა ყველა წევრს — კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებლებს.

საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის, ნოემბრის (1964 წ.) და მარტის (1965 წ.) პლენუმების გადაწყვეტილებებს, თავიანთი შთაგონებული შემოქმედებითი შრომით მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების ყველა დარგში, მთელ თავიანთ დაუშრეტელ ენერგიას ახმარენ სოციალისტური სამშობლოს აყვავებას.

საწარმოო კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიღწეული ეს წარმატებები განეყოფელია რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობისაგან, რომლებიც პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დაუცხრომლად რაზმავენ მშრომელთა ფართო მასებს სახალხო-სამეურნეო ამოცანების შესასრულებლად, გამოდიან სოციალისტური შეჯიბრებისა და მისი უმაღლესი ფორმის — კომუნისტური შრომისათვის მძიერობის ორგანიზატორებად, ღირსეული წვლილი შეაქვთ საერთო-სახალხო ბრძოლაში შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდებისათვის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, წარმოების რეზერვების გამოყენებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები მუდამ ზრუნავენ, რომ რაც შეიძლება სრულად დააკმაყოფილონ მშრომელთა სულიერი მოთხოვნილებანი, აღზარდონ ისინი შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, ბევრ უყურადღებას უთმობენ მშრომელთა შრომის ორგანიზაციისა და პირობების გაუმჯობესების, ყოფაცხოვრებისა და დასვენების საკითხებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1965 წ.) პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიის გადაწყვეტილებებმა ჩვენს ქვეყანას დაუსახეს ახალი უმნიშვნელოვანესი ამოცანები დაგეგმვის შემდგომი სრულყოფის, მრეწველობის მართვის გაუმჯობესებისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების დარგში. ამ მიზნების მიღწევის უმნიშვნელოვანესი პირობაა ის, რომ საწარმოთა კოლექტივები დავაინტერესოთ უფრო მაღალი საგეგმო დავალებების შემუშავებით, საწარმოო ფონდების, მუშახელის, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების გაუმჯობესებით, ტექნიკის, შრომის ორგანიზაციის სრულყოფით და წარმოების რენტაბელობის გადიდებით.

ამ პირობებში პროფკავშირთა როლი და მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. ამოცანა ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ მასების შემოქმედებითი ინიციატივა და თვითმოქმედება და სულ უფრო ფართოდ მივაღებინოთ მათ აქტიური მონაწილეობა სოციალისტური წარმოების მართვაში; დაბეჯითებით ვაუმჯობესოთ სოციალისტური შეჯიბრება, მაქსიმალურად გამოვიყენოთ მეურნეობის გაძლოლის ახალი სისტემის შესაძლებლობანი წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის, შრომის მორალური და მატერიალური სტიმულების განვითარებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო რესპუბლიკის პროფკავშირთა XIII ყრილობის დელეგატებს უსურვებენ ნაყოფიერ მუშაობას და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ პროფკავშირული ორგანიზაციები კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავენ მშრომელთა მასებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო, კიდევ უფრო ენერგიულად იბრძოლებენ იმ ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ, სკკპ XXIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს — საბჭოთა ხალხის მაორგანიზებელ და ხელმძღვანელ ძალას!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზი... მიმდინარეობს საქართველოს პროფკავშირთა XIII ყრილობა...

ზემო სურათზე: წინა პლანზე არიან ყრილობის დელეგატები თბილისიდან (მარცხნიდან მარჯვნივ): ტრესტ „ინგუშეთის“ მემონტაჟე ზეინალი ი. ალავიძე, მარცხენა ნაპირის „თბილკვებვაჭრობის“ 32-ე კომკავშირული მაღაზიის გამყიდველი ნ. მუზაშვილი და მარჯვენა ნაპირის „თბილკვებვაჭრობის“ გამყიდველი დ. ბკუასელი.

ყრილობის დილის სხდომის შემდეგ შესვენება გამოცხადდა. ვესტიბიულებში დელეგატები ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილან და მეგობრული საუბარი გაუმართავთ. ქვემო სურათზე თქვენ ხედავთ დელეგატთა ერთ-ერთ ჯგუფს შესვენებისას (მარცხნიდან მარჯვნივ) ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის მუშა, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ე. ბასილია, გუდაუთის რაიონის ჩერნორეჩენსკაიას საკალმახე მეურნეობის ავტომძღოლი ვ. ჩენნია, თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის მკერავი ე. ბახტაძე, ფილავის ძაფსაღები ფაბრიკის მხვეველი ე. გუბელაძე, თბილისის საკალაჭო სანაინაო სამმართველოს საწარმოო კომბინატის ელექტროშემდოებელი შ. როსტომაშვილი, ორჯონიკიძის რაიონის მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ი. ჩიკვაიძე, ბათუმის გემთსაშენებლო ქარხნის მუშა ნ. ძნელაძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

230.000 ტონა ყურძნისათვის

ცნობები ზვრებიდან

ბურჯაანი. რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში რთველი მთელი ძალით გაჩაღდა. მევენახეები დიდძალ ყურძენს აბარებენ სახელმწიფოს. ყურძნის კრეფასა და დამზადებაში დაწინაურდნენ კარდანახის, მუკუზნისა და შრომის საბჭოთა მეურნეობები, ველისციხის, ვაზისუბნის, გურჯაანის კოლმეურნეობები. სულ რაიონში გუშინდელის ჩათვლით დამზადებულია 18.000 ტონაზე მეტი ყურძენი.

თელავი. ჯოლაანის, კონდოლის, სანიორის, კურდღელაურის კოლმეურნეობები, ნაფარეულისა და კისისხევის საბჭოთა მეურნეობები პირველობენ ყურძნის კრეფისა და დამზადების საქმეში. რაიონში დამზადებულია 11.780 ტონა ყურძენი. მათ შორის საკარმიდამო ვენახებიდან სახელმწიფოს მიეყიდა 4.500 ტონა ყურძენი.

ყვარელი. „ქინძმარაულის“, ენისელის, ყვარლის, შილდის ღვინის ქარხნებში ყოველდღე უწყვეტ ნაკადად მიდის ყურძნით დატვირთული ავტომანქანები. რთველი წარმატებით მიმდინარეობს ყვარლის საბჭოთა მეურნეობაში, შილდის, ახალსოფლის, ენისლის, ყვარლისა და რაიონის სხვა კოლმეურნეობებში. გუშინდელის ჩათვლით რაიონში დამზადებულია 8.000 ტონაზე მეტი ყურძენი.

სიღნაღი. რაიონის ვენახებში ყურძნის კრეფა და სახელმწიფოსათვის ჩაბარება ორგანიზებულად მიმდინარეობს. ამ საქმეში პირველობენ ტიბაანის, ძველი ანაგის, ჯუგაანის, საქობოს, ბოდბისხევის, ვაქირის კოლმეურნეობები, ნირსისა და წინორის საბჭოთა მეურნეობები. რაიონში დამზადებულია 8.000 ტონა ყურძენი.

საგარეჯო. რთველი წარმატებით მიმდინარეობს კაკაბეთში, მანავაში, საგარეჯოში, ნინოწმინდაში და სხვა სოფლებში. ნინოწმინდისა და ყანდაურის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს ყურძნის დამზადების წლიური გეგმები. იგრის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა საკარმიდამო ვენახებიდან 190 ტონა ყურძენი მიჰყიდეს სახელმწიფოს, ხოლო საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობის მუშებმა — 400 ტონა. სულ რაიონში დამზადებულია 4.000 ტონამდე ყურძენი.

მცხეთა. რაიონის ვენახებში ყოველდღიურად სულ უფრო მეტი ყურძენი იკრიფება. რთველი მთელი ძალით გაჩაღდა მუხრანის კოლმეურნეობაში, ნატახტარისა და მცხეთის. საბჭოთა მეურნეობებში. ნატახტარელებმა საცალად წლიური გეგმით გათვალისწინებული 120 ტონისა სამშობლოს მისცეს 170 ტონამდე ყურძენი. სულ რაიონში მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 2.000 ტონამდე ყურძენი.

დიდი გამარჯვება

ქალაქ თბილისის მრეწველოგამ ვადამდე შეასრულა შვიდწლედის გეგმა

ქალაქ თბილისის მრეწველობის მშრომელებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება, ვადამდე, ექვს წელსა და ცხრა თვეში, როგორც ეს ვალდებულებით იყო გათვალისწინებული, შეასრულეს სამრეწველო წარმოების მოცულობის შვიდწლიანი გეგმა.

მრეწველობის პროდუქციის გამოშვება შვიდწლედში გადიდდა 60,1 პროცენტით, აქედან ხელსაყოფთსაშენებელი მრეწველობისა — თითქმის შვიდჯერ, ელექტროტექნიკურისა — 5-ჯერ, მანქანათსაშენებელი მრეწველობისა — 3-ჯერ.

აშენდა და მწყობრში ჩადგა ახალი ქარხნები და ფაბრიკები, რეკონსტრუირებული და გაფართოებულია ბევრი მოქმედი საწარმო.

ათვისებულია 300-ზე მეტი ახალი სახეობის მანქანების, მექანიზმების და ხელსაწყოების წარმოება, ისეთებისა, როგორიცაა მძლავრი მაგისტრალური რვადერძიანი ვლ-8 და ვლ-10 ელმავლები, სპეციალური მილსაჭრელი და ჰაერსაჭრელი ავტომატური ჩარხები, დიდი სიზუსტის მრგვალადსახული ჩარხები, 25 სხვადასხვა დასახელების ელექტროშესადუღი მწყობლობა, კვების მრეწველობის დიდმწარმოებლური აგრეგატები და სხვ. ამასთან ერთად წლითიწლობით იზრდება სახალხო მოხმარების საკონლის წარმოება. ქალაქის სამრეწველო საწარმოებში, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებთან თანამეგობრობით განხორციელდა დიდი მუშაობა წარმოების ტექნიკური ხელახალი შეიარაღებისათვის, ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის.

შვიდწლედის მანძილზე შრომის ნაყოფიერება ქალაქის მრეწველობაში გადიდდა 25 პროცენტით, მნიშვნელოვნად შემცირებულია პროდუქციის თვითღირებულება და მიღებულია ზეგეგმითი დაგროვება. პროდუქციის მატების დიდი ნაწილი მიღებულია შრომის ნაყოფიერების გაზრდის მეოხებით.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც მხურვალედ გამოეხმაურნენ მოსკოველთა და ლენინგრადელთა პატრიოტულ თაოსნობას, დაუცხრომლად იბრძვიან პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მისი საიმედოობისა და ხანგრძლივობისათვის, იმისათვის, რომ უახლოეს სამოთხ წელიწადში მიაღწიონ საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონეს.

ქალაქის საწარმოებმა თბილისის ელმავალმშენებელთა ინიციატივით დაიწყეს ლაშქრობა წარმოების მაღალი, სანიმუშო კულტურისათვის და დიდმნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს საწარმოო კულტურის ამაღლებისა და სამრეწველო ესთეტიკის განვითარებისათვის. თბილისის ათობით ქარხანა და ფაბრიკა მაღალი კულტურის, მოწინავე ტექნიკისა და წარმოების ორგანიზაციის კერები გახდა.

ქალაქის მრეწველობაში დიდად დაგვითარდა კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა, რომელშიც მონაწილეობს 70 ათასზე მეტი კაცი. სამი ათასზე მეტი საამქრო, უბანი და ბრიგადა ატარებს კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდებას, ან იბრძვის ამ წოდების მოსაპოვებლად. მუშაობის მაღალი მაჩვენებლებისათვის მინის, შამპანური ღვინოების, კონიაკის, № 1 ღვინის ქარხნებს, კერამიკულ კომბინატს, ჩაის საწონ ფაბრიკასა და სხვებს მიენიჭათ კომუნისტური შრომის საწარმოს წოდება.

წარმოების მოწინავეთა, ნოვატორთა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მრავალათასიანმა არმიამ ღირსეული წვლილი შეიტანა ტექნიკური პროგრესის, შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულების საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი თბილისელი მშრომელები კიდევ უფრო აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას დიდი ოქტომბრის 48-ე წლისთავის აღსანიშნავად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. (საქდესი).

პროფკავშირთა ყრილობაზე

8 ოქტომბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობა დაიწყო საქართველოს პროფესიულ კავშირთა XIII ყრილობამ. ყრილობა შეიკრება იმ დღეებში, როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში გაიმართა საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის. ეს გადაწყვეტილებანი მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ ნათლად მოწმობენ, რომ ჩვენი პარტია, რომელიც განუხრელად ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური თეორიით, ღრმად აანალიზებს მომხდარ მოვლენებს, თვალისწინებს საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნებს, აკეთებენ მასებს რევოლუციურ ენერგიას, წარმართავს მას კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა შემდგომი გადაწყვეტისაკენ.

საქართველოს პროფკავშირები ყრილობას შეეგებნენ ბევრი სახელოვანი საქმით, ორგანიზაციულად მნიშვნელოვნად გაზრდილი და პოლიტიკურად განტკიცებული, დარაზმული პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. მჭიდროდ შეკავშირებული, მომადებული ინსპირთვის, რომ დაუცხრომლად იბრძოლონ კომუნიზმის მშენებლობის დიად ამოცანათა განხორციელებისათვის.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დავალებით რესპუბლიკის პროფკავშირთა XIII ყრილობა გახსნა პროფსაბჭოს თავმჯდომარემ შ. ა. დოლიძემ.

ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს.

საქმიან პრეზიდიუმში ირჩევენ ამხანაგებს მ. ი. კუტავას, ვ. პ. მეკვანაძეს, პ. ა. ოდიშარიანოვს, გ. ს. ძოწენაძეს, შ. ი. ჭაბუყვაძეს, გ. დ. ჯავახიშვილს ო. ი. ლოლაშვილს, ა. ნ. ინაორს, შ. ა. დოლიძეს, საკავშირო პროფსაბჭოს საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგეს პ. ე. ბარმასოვს, საქართველოს პროფსაბჭოს მდივნებს ვ. ფ. ლოლობერიძეს, დ. მ. ფოსელიანს, ყაჩარნის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ა. დ. გალანოვს, რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მძახავს ს. შ. დათუნაშვილს, „მთავართბილმშენის“ № 5 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მუშას ე. შ. ჯმუხაძეს, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეს ა. ს. ფანცულაიას, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველს, სოციალისტური შრომის გმირს ე. ბ. სოლომონიას, ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშას ე. ს. ნიკიას, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის მუშას ბ. ა. ჩაფიძეს, ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს უფროსს ა. მ. ჭეკიასა და სხვებს.

ყრილობის დელეგატებისა და სტუმრების მქუხარე ტაშის გრიალში ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს.

ყრილობა ირჩევს სამდივნოს, სამანდატო და სარედაქციო კომისიებს.

მტკიცდება შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ანგარიში.

2. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სარევიზიო კომისიის ანგარიში.

3. არჩევნები.

ა) საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსი.

ბ) საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სარევიზიო კომისიისა.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე მ. ი. კუტავა.

მქუხარე ტაშის გრიალში მან წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება რესპუბლიკის პროფკავშირთა XIII ყრილობისადმი.

ყრილობა იწყებს პირველი საკითხის განხილვას. საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ შ. ა. დოლიძემ.

ყრილობამ მოისმინა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომელიც წაიკითხა კომისიის თავმჯდომარემ მ. კ. არაქელოვმა.

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობდნენ: აფხაზეთის პროფკავშირთა სოლოქო საბჭოს თავმჯდომარე გ. ა. ჯოხთაბერიძე, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველი, სოციალისტური შრომის გმირი ე. ბ. სოლომონიას, ამიერკავკასიის რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. მ. სადჩიკოვი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ო. ნ. სულაძე, აჯარის პროფკავშირთა სოლოქო საბჭოს თავმჯდომარე მ. გ. ეკიზაშვილი, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის მუშა ბ. ა. ჩაფიძე, ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს უფროსი ა. მ. ჭეკია, საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე პ. ა. ჩიკვილაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ვ. ლომქარაშვილი, საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ვ. კ. გოგოძე, მუკუზნის მეევნახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა მ. ა. ბარნაძე, სამხრეთ ოსეთის პროფკავშირთა სოლოქო საბჭოს თავმჯდომარე რ. პ. ცხოვრებოვი, საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე გ. პ. ზედგინიძე, ენგურჰესის მშენებლობის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე კ. მ. მარშავა.

ყრილობამ მოისმინა და დაამტკიცა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დ. თ. ჭოლოკავას მოხსენება.

ყრილობის დელეგატებსა და სტუმრებს მიესალმნენ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებელთა აღსაზრდელები.

ყრილობაზე წაიკითხეს მისალმებანი, რომლებიც საქართველოს პროფკავშირთა XIII ყრილობას გამოუგზავნეს აზერბაიჯანის, სომხეთის, ლატვიის, თურქმენეთის პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭოებმა.

9 ოქტომბერს საქართველოს პროფკავშირთა XIII ყრილობა განაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

საქდესის ცნობა

დამთავრდა სადგურ „ლუნა-7“-ის ფრენა

8 ოქტომბერს 1 საათზე 08 წუთსა და 24 წამზე მოსკოვის დროით ავტომატურმა სადგურმა „ლუნა-7“-მა მიაღწია მთვარის ზედაპირს ქარიშხალთა ოკეანის რაიონში კეპლერის კრატერის დასავლეთით.

5 ოქტომბერს განხორციელებული კორექციის შემდეგ მთვარესთან მიახლოების დროს შესრულდა მეტი წლის ოპერაციები, რომლებიც საჭიროა მთვარის ზედაპირზე რბილად დაშვებისათვის.

ზოგიერთი ოპერაცია ვერ შესრულდა პროგრამის შესაბამისად და მოითხოვს დამატებითს დამუშავებას.

სადგურ „ლუნა-7“-ის ფრენის პროცესში მიღებულია დიდი პრაქტიკული მასალა შემდგომი მუშაობისათვის.

სტუმრად ჩილეში

ჩილეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით მოსკოვიდან სანტიაგოში ჩილის კომპარტიის XIII ყრილობაზე გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. პ. კირილენკო და სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. გ. კორონოვი.

სამხედრო პროკურორ-ინსპექტორთა თათბირი

7 ოქტომბერს მოსკოვში, საბჭოთა არმიის ცენტრალურ სახლში, გაიხსნა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პროპაგანდისა და აგიტაციის მუშაკთა თათბირი. თათბირს ესწრებიან სამხედრო ოლქების, ჯარებისა და ფლოტების ჯგუფების, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების, სამხედრო და ფლოტის გაზეთების რედაქციათა წარმომადგენლები.

თათბირი გახსნა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა არმიის გენერალმა ა. ა. ეპიშევმა. მოხსენება — „ნაწილებსა და ქვეგანყოფებში იდეოლოგიური მუშაობის აქტუალური ამოცანები“ — გააკეთა მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილემ გენერალ-პოლკოვნიკმა მ. ხ. კალაშნიკმა.

თათბირი სამ დღეს გაგრძელდება.

მოსკოვის პარტიული აქტივის კრება

მოსკოვი, 8 ოქტომბერი. (საქდესის კორ.) კრემლის დიდ სასახლეში დღეს გაიხსნა დედაქალაქის პარტიული აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1965 წლის) პლენუმის შედეგებსა და მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანებს.

მოხსენება გააკეთა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. გ. ეგორიჩევმა.

კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელის დალი ფიმფოლაძის შრომითი მამაცობა ცნობილი გახდა არა მარტო წულუკიძის რაიონში, არამედ მთელ რესპუბლიკაში. იგი წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს. მისმა რგოლმა დიდი წვლილი შეიტანა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულებაში.

რგოლის წევრებმა სანიმუშოდ მოუარეს 3 ჰექტარ ჩაის პლანტაციას და უხვი მოსავალიც მიიღეს.

დალი ფიმფოლაძე თავდადებულ შრომასთან ერთად ეუფლება აგრონომიულ მეცნიერებას. იგი დაუფლებულად სწავლობს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეოთხე კურსზე. ამ სურათზე თქვენ ხედავთ სახელგანთქმულ მეჩაიეს დალი ფიმფოლაძეს.

წულუკიძელ მეჩაიეთა წარმატება

საუბარი პარტიის წულუკიძის რაიკომის პირველ მდივანთან ამხ. გ. მელქაძესთან.

დიდი პასუხსაგები ამოცანების წინაშე იდგნენ წელს რაიონის მეჩაიეები, პარტიული ორგანიზაციები, ყველა მშრომელი, — განაცხადა **„კომუნისტის“** კორესპონდენტთან საუბარში პარტიის წულუკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. **გ. მელქაძემ.** მეტად არახელსაყრელმა ამინდმა კრეფის სეზონი ძლიერ დაგვიანა. შემდეგაც როდი იყო კარგი ამინდი.

მიუხედავად ამისა, რაიონის მეჩაიეებმა გამოიჩინეს მამაცობა, სიტყვა არ გატეხეს — 7 ოქტომბრისათვის შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. **მოკრეფილია 3.652 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.650 ტონისა.** მეტი ჩაისათვის ლაშქრობაში თავი ისახელეს რაიონის მრავალმა კოლმეურნეობამ, ბრიგადამ, რგოლმა, ცალკეულმა მეჩაიეებმა. მათ წარმატების მოპოვებისათვის აღაორთოვანებდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადწყვეტილებები.

დაწინაურებულთა შორის არის გოჩაჯიბაშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც მოკრიფა 287 ტონა ჩაის ფოთოლი, გეგმა კი 234 ტონის მოკრეფას ითვალისწინებდა. მოკრეფილ ფოთლის 84 პროცენტი პირველი ხარისხისაა. დიდ წარმატებას მიაღწია იმ ბრიგადამ, რომელსაც **მ. ცაგარეიშვილი** ხელმძღვანელობს. ბრიგადამ მოკრიფა 85 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად 58 ტონისა, საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 5.000 კილოგრამი ჩაის ნედლეული.

ამ კოლმეურნეობის მოწინავე რგოლმა (ხელმძღვანელი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ლიანა ჩომახიძე**) 5 ჰექტარზე მოკრიფა 25,2 ტონა „მწვანე ოქრო“ ნაცვლად 21 ტონისა. პირადად ლ. ჩომახიძემ მოკრიფა 4.100 კილოგრამზე მეტი, მეჩაიე **გალინა ქაშიბაძემ** — 3.800 კილოგრამი.

კარგად იმუშავეს სოფელ **გუბის** კოლმეურნეობის წევრებმა. მათ მრეწველობას ჩაბარეს 248,4 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 192 ტონისა. **გ. სვანიძის** ბრიგადამ გეგმით გათვალისწინებული 60 ტონის ნაცვლად მოკრიფა 86 ტონა. ჩაის ფოთლის კრეფის გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს **კუბის, ივანდიღლის** და სხვა კოლმეურნეობის მეჩაიეებმა.

ახლა რაიონის მეჩაიეები - განაგრძობენ ჩაის კრეფას და გადწყვეტილი აქვთ **გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 100 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.** რაიონის მშრომელები ახალი ენერგიით შრომობენ, რათა მეტი წარმატებებით შეხვდნენ პარტიის XXIII ყრილობას.

უპატაკეგენ სამშობლოს

ზნაურის რაიონის მშრომელებმა, — დეპეშით აცნობეს რედაქციას საქართველოს კომპარტიის ზნაურის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. თბილიძემ,** რაისაბჭოს აღმასკომ

საერთაშორისო ცხოვრება

ინდონეზიის კომპარტიის განცხადება

ჯაკარტა, 7 ოქტომბერი. (საკდესი). ინდონეზიის მთავრობის გუშინდელი სხდომის შემდეგ, რომელმაც განიხილა ინდონეზიაში ამ ბოლო დროს მომხდარი ამბები, ინდონეზიის კომპარტიის წარმომადგენელმა ინდონეზიელ და უცხოელ კორესპონდენტებს, რომლებიც პრეზიდენტის ბოგორის სასახლეში შეიკრიბნენ, დაურიგა ინდონეზიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემდეგი განცხადება 30 სექტემბრის ამბების გამო:

„ინდონეზიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ ზედმიწევნით შეისწავლა ინდონეზიის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის, ინდონეზიის რევოლუციის ბელადის პრეზიდენტ სუკარნოს მოწოდება და აცხადებს, რომ საკუთარი მხარის უპირს მას და მოუწოდებს ინდონეზიის კომპარტიის ყველა კომიტეტს, პარტიის ყველა წევრსა და თანამგრძნობს, აგრეთვე ყველა რევოლუციურ მასობრივ ორგანიზაციას, რომელსაც ინდონეზიის კომპარტიის წევრები ხელმძღვანელობენ, ხელი შეუწყონ მის განხორციელებას.

რაც შეეხება „30 სექტემბრის მოძრაობას“, ინდონეზიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტს მიაჩნია, რომ ეს მოძრაობა სახმელეთო ძალების შინაური საქმეა და ინდონეზიის კომუნისტურ პარტიას სრულიად არ ეხება ინდონეზიის კომუნისტური პარტიის იმ წევრების გამოკითხვის შედეგად, რომლებიც შეტანილ იყვნენ „ინდონეზიის რევოლუციური საბჭოს“ სიაში, გამოირკვა, რომ მათთვის არავის მიუმართავს და მათი თანხმობა არ მიუღიათ ამ სიაში შეტანის თაობაზე.

ინდონეზიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მთელ ხალხს გააძლიეროს სიფხიზლე. განამტკიცოს ეროვნული ერთობის ფრონტი, რომლის ძირითადი და მამოძრავებელი ძალაა ნასაკომი (მთავრობაში ნაციონალისტების, მუსლიმანებისა და კომუნისტების თანამშრომლობის პრინციპი. — რედ. შენიშვნა), ჩაფუშოს ინგლისისა და ამერიკის ერთობლივი პროვოკაციის შესახებ, აგრეთვე გააძლიეროს ბრძოლა ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ საერთოდ.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს მეთოთხმეტე სესია

ვარშავა, 8 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ვარშავაში გაიხსნა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს მე-14 სესია. სესიაზე განიხილეს პროფკავშირთა VI მსოფლიო კონგრესის მომზადების საკითხები და ინფორმაცია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წესდების შეცვლილი კომისიის მუშაობის შესახებ.

მშვიდობას საფრთხე ემუქრება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XX სესია

ნიუ-იორკი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ დილით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია.

პირველი გამოვიდნენ სირია-ლიონესა და ინგლისის წარმომადგენლები. სირია-ლიონეს საგარეო საქმეთა მინისტრი როკერსრაატი ჩიოდა, რომ მისი ქვეყანა და სხვა ახალგაზრდა სახელმწიფოები მხარე ეკონომიურ სიძნელეებს განიცდიან. მან მოუწოდა სახელმწიფოებს დაარჩარონ „დეკოლონიზაციის პროცესი“.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. სტიუარტმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ გენერალური ასამბლეა შეიარება ამ მომენტში, როცა ბევრი საერთაშორისო პრობლემა ისევ გადაუჭრელია. გერმანია, თქვა მან, კვლავ გაყოფილია, იდონეზია ვაკიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან, ჩრეთი არ არის წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ამ კ ქვეყნების არყოფნით ჩვენს ორგანიზაციაში, აღნიშნა სტიუარტმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციი კარგავს უნივერსალობას, ეს კი აუცილებელია მისი საქმიანობის წარმატებისათვის. ამიტომ, განაცხადა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჩვენ მტკიცედ ვიცავთ იმ თვალსაზრისს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა უნდა იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.



შეეხო რა ვიეტნამში შექმნილ მდგომარეობას, სტიუარტმა აღნიშნა, რომ ეს პრობლემა შეიძლება გადაიჭრას შემდეგნაირად: საჭიროა შეწყდეს საომარი მოქმედება, შეწყდეს ვიეტნამის საქმეებში ჩარევა და მოწვეულ იქნეს კონფერენცია, რომელმაც შეიძლება წარმატება მოგვიტანოთ. ინგლისი, განაცხადა სტიუარტმა, ყოველთვის დაუჭერს მხარს ქვეყნის კონფერენციას კვლავ მოწვევას.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაჰმუდ რიადმა ასამბლეის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ძლიერდება საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოყენების ტენდენცია, რაც ფრიად საშიში მოვლენაა მშვიდობის საქმისათვის.

მაჰმუდ რიადმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა სახელმწიფოთა საქმეებში ჩაურევლობის საქმეს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის წინადადება, რომელიც შეტანილია სესიის დღის წესრიგში, საშუალებას აძლევს გენერალურ ასამბლეას დროზე განახორციელოს სერიოზული ღონისძიებანი ამ მიმართულებით.

ნიუ-იორკი, 8 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). 7 ოქტომბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დღის პლენარულ სხდომაზე ეროელი სიტყვა წარმოთქვა უკრაინის დელეგაციის მეთაურმა უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პ. ტ. ტრონკომ. მან აღნიშნა, რომ ახლა მთელ რიგ რაიონებში მშვიდობა საფრთხეშია. განსაკუთრებით საშიშ მდგომარეობა შეიქმნა, თქვა მან, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებს უშუალოდ იყენებენ სამხრეთ ვიეტნამის საშინაო საქმეებში ჩარევისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიულად მოქმედებისათვის.

მთელ მსოფლიოში ცნობილია, თქვა უკრაინის წარმომადგენელმა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სახელმწიფო პოლიტიკად აქცია სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევა. გაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების ამბერად ადგება არ არის ის, რომ გენერალური ასამბლეის სესიის გახსნამდე ერთი დღით ადრე ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს წარმომადგენლთა პალატამ მიიღო ტონკინის რეზოლუცია, რომელიც ლეგალიზებულ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ინტერვენციას

ლაოსიერი ამერიკის ყოველ ქვეყანაში კონტროლმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით.

უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სუვერენული და თავისუფალი სახელმწიფოა საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახ ძმურ ოჯახში. და ჩვენ, უკრაინელები, არ შეიძლება არ აღგვაფოთოს იმ ფაქტმა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალურ დონეზე ყოველწლიურ ომას უხდიან ანტიხალხურ რეჟიმს, რომელიც უკრაინელმა ხალხმა ახალგაზრა საუკუნის წინ ისტორიის სანაგვეზე გადაისროლა.

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის გოლდა მეირის სიტყვის მეტი ნაწილი შედგენილი იყო ბუნდოვანი და დეკლარაციული ფორმით, რაც საშუალებას აძლევდა მას მეიჩქმალა აშკარა და რეალური წინააღმდეგობა მის მიერ გამოცხადებულ პრინციპებსა და ისრაელის მმართველი წრეების აგრესიულ პოლიტიკას შორის არაბული ქვეყნების მიმართ. მეირი შეეცადა არაბული სახელმწიფოების ხელმძღვანელთათვის დაეკორებინა მთელი პასუხისმგებლობა ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის არსებული შეუნელებელი დაძაბულობის გამო.

კენიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მუოგომბამ მკაცრად დაგმო შეერთებული შტატების სამხედრო ინტერვენცია ვიეტნამში, რომელიც უდიდეს საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

სხდომაზე კვლავ გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ა. გოლდბერგი, რომელმაც გამოიყენა პასუხის გაცემის უფლება. იგი ისევ ამართლებდა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას ვიეტნამში „სამხრეთვიეტნამელი ხალხის „თავისუფლების დაცვისა“ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში „მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით“.

სხდომაზე გამოვიდნენ ავრეთვე ჰონდურასის საგარეო საქმეთა მინისტრი კასტელარო და ჩადის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟაკ ბარუმი.

სროლა ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე

დელი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). ინდოეთის მთავრობამ გამოაქვეყნა რუკა პოზიციებისა, რომლებიც ინდოეთისა და პაკისტანის ჯარებს უკავიათ ფაქტიური პირისპირ დგომის მთელ ხაზზე ქაშმირიდან სინდამდე. ამ რუკის თანახმად, „23 სექტემბრისათვის (ცეცხლის შეწყვეტის დღე) ინდოეთს ეკავა პაკისტანის 1920 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, ხოლო პაკისტანს — ინდოეთის 550 კვადრატულ კილომეტრამდე ტერიტორია“. ინდოეთის ოფიციალური წრეები აღნიშნავენ, რომ ინდოეთს დიდმნიშვნელოვანი რაიონები უკავია ლაჰორისა და სიალკოტის მიდამოებში, აგრეთვე უკავია ისეთი სტრატეგიული უღელტეხილები, როგორიც არის ბაჯი პირი, რომელზეც გადის გზა სრინაგარისაკენ (ქაშმირი).

ინდოეთის თავდაცვის სამინისტროს მ ბ ა ნ ა ც ა ვ ა ა, რომ 6 ოქტომბერს გაბმულდა ბრძოლა ჩხამბ-ჯაურიანის სექტორში (ქაშმირი). ამ რაიონში ინდოეთის ქვეგანაყოფებმა დაიბრუნეს სოფელი მალა, რომელიც 13 კილომეტრზე მდებარეობა დასავლეთ ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ყარაჩი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). „როგორც ამბობენ, [illegible] შეიერატედ პრ[illegible] ნის საგანგებო [illegible]. პაკისტანის რავალპინდელი ოფიციალური წარმომადგენლის ცნობით, 6 და 7 ოქტომბერს ცეცხლის შეწყვეტა ხაზზე დროდადრო წარმოებდა შეტაკებანი პაკისტანისა და ინდოეთის ჯარებს შორის. ინდოეთის ჯარების ბრიგადამ არტილერიის დახმარებით გუშინ დილით ძლიერი ირეში მიიტანა მენდაბრის რაიონში (ქაშმირი). პაკისტანი [illegible] — [illegible] მიაკენებს [illegible] ინდოეთ[illegible] — [illegible] ინდოეთ[illegible] — [illegible] ინდოეთ[illegible] —



ჩვენი დედაქალაქის ხვალინდელი დღე

თბილისის მომავალი განვითარების ზოგიერთი საკითხი

თბილისი საქართველოს დედაქალაქია, მისი ადმინისტრაციული, კულტურული და მთავარი ინდუსტრიული ცენტრია.

თბილისში თავმოყრილია საქართველოს მოსახლეობის თითქმის ერთი მეხუთედი, სამრეწველო ობიექტების, კულტურულ-საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ დაწესებულებათა უდიდესი ნაწილი.

თბილისი მეტად სწრაფად იზრდება და ვითარდება. ამიტომ ბუნებრივია, რომ რესპუბლიკის ბიუჯეტით განსაზღვრული, კაპიტალური მშენებლობისათვის განკუთვნილი თანხებიდან დიდი წილი თბილისს ხმარდება.

აღნიშნული თანხების რაციონალურად განაწილება და მიზანმიმართული ხარჯვა შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი გეგმის მიხედვით, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ქალაქის მომავალი განვითარების ყოველგვარ საკითხებს.

ასეთ ერთიან გეგმას ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტებისათვის დაგეგმარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა წარმოადგენს, რომელიც გარკვეული საპროექტო ვადებისათვის მუშავდება და 20-25 წლის პერიოდს მოიცავს.

ასეთი გენერალური გეგმა თბილისისათვის ჯერ კიდევ ომამდე იქნა შედგენილი, მაგრამ ამ „უკანასკნელ წლებში ქალაქის სწრაფმა ზრდამ დღის წესრიგში დააყენა ახალი გენერალური გეგმის შემუშავების აუცილებლობა. ამ გეგმამ უნდა გათვალისწინოს მომხდარი ცვლილებები და დასახოს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მომავალი განვითარების ოპტიმალური გზები. აღნიშნული გენერალური გეგმის შედგენა დავალებული აქვს საპროექტო ინსტიტუტს — „თბილქალაქპროექტს", რომელის კოლექტივიც მეტად საჭირო და ნაყოფიერ შრომას ეწევა.

ცნობილია, რომ ქალაქის საზღვრებში მოქცეული მიწები გამოყენებულია არა მარტო სამოსახლოდ, არამედ მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის ობიექტებისათვის. ამ ფართობიდან გარკვეული ნაწილი უჭირავს მდინარეებს, წყალსაცავებს, სანიტარულ და სხვა დანიშნულების ობიექტებს. გვხვდება ფართობებიც, რომლებიც მშენებლობისათვის გამოუსადეგარია.

სამწუხაროდ, სამოსახლო ტერიტორიებს ქალაქის საერთო ფართობში მეტად მცირე პროცენტი უჭირავს. ამის გამო განაშენიანების სიმჭიდროვე საკმაოდ დიდია, განსაკუთრებით ქალაქის ძველ უბნებში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ განაშენიანების საშუალო სართულიანობა 2,5-ს არ აღემატება. გასაგებია, ამ პირობებში ერთ სულ მოსახლეზე საცხოვრებელი ფართობის ნორმის უზრუნველყოფა შეუძლებელია.

ძველი საცხოვრებელი სახლების დიდი პროცენტი ამორტიზებულია და ახლით შეცვლას მოითხოვს. ერთ სულ მოსახლეზე საცხოვრებელი ფართობის ნორმის 12 კვადრატულ მეტრამდე გაზრდის შემთხვევაში, ქალაქის ახლანდელ საზღვრებში შეიძლება მოთავსდეს მხოლოდ არსებული მოსახლეობის 70 პროცენტი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ დროისათვის დამთავრდება განაშენიანების რეკონსტრუქცია, გამოიყენებთ თავისუფალ მიწებს და დავახარულებთ ახალი მასივების მშენებლობას.

თანახმად სათანადო გაანგარიშებებისა, ქალაქის გენერალური გეგმის საპროექტო ვადის დამთავრებისათვის თბილისს შეემატება არსებული მოსახლეობის დაახლოებით ორმოცი პროცენტი. მაშასადამე, ახალ მოსახლეობას დასჭირდება სამოსახლო ტერიტორიების თითქმის იმდენივე ფართობი, რამდენიც ამჟამად მოგვეპოვება.

თბილისს, რომელიც მტკვრის ხეობის ვიწრო ადგილას მდებარეობს, მეტად არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები აქვს. ამიტომ მისი ზრდისა და განვითარებისათვის საჭირო ტერიტორიების შერჩევა გადაუდებელ. მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ უშუალოდ ქალაქის ირგვლივ თავისუფალი, გამოუყენებელი მიწები აღარ მოიპოვება.

ამ ამოცანის გადასაჭრელად საპროექტო ინსტიტუტის — „თბილქალაქპროექტის" მიერ შემუშავებულ იქნა ორი ძირითადი სქემა რამდენიმე ვარიანტით. ერთ-ერთი ამ სქემათაგანი თბილისის განვითარებას ითვალისწინებდა თელეთის ზეგანის გამოყენებით, რომელიც ქალაქის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს და ამ უკანასკნელისაგან გამოყოფილია თელეთის მთაგრეხილით. მეორე სქემა ითვალისწინებს სამგორის წყალსაცავის, ანუ ე. წ. „თბილისის ზღვის" ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიების გამოყენებას.

წარმოდგენილი სქემები დეტალურად იქნა შესწავლილი სპეციალური კომისიის მიერ, რომელმაც სათანადო რეკომენდაციები შეიმუშავა.

მოწონებულ და ჩიღებულ იქნა საბელმძღვანელოდ ე. წ. „თბილისის ზღვის" ვარიანტი.

რა სახეს მიიღებს თბილისი ამ სქემის განხორციელების შემთხვევაში?

ნაცვლად მერიდიანულად გაჭიმული ვიწრო ზოლისა, ქალაქის კონტური ელიფსის ფორმას დაუახლოვდება. მის ცენტრალურ ნაწილში მოექცევა „თბილისის ზღვა", რომელის ფართობი დაახლოებით 11.0 კვადრატულ კილომეტრს უდრის. მის გარშემო შეიქმნება 500-800 მეტრი სიგანის ტყე-პარკის ზოლი, რომელიც ქალაქის მოსახლეობის გართობასა და დასვენების ძირითად კერად იქცევა.

ამ მწვანე სარტყელის ირგვლივ მოექცევა სამოსახლო ტერიტორიები სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებული ქალაქისა, ჩრდილო-დასავლეთით კი — ახალი უბნებისა. სამრეწველო რაიონები ძირითადად განლაგდება ელიფსის პოლუსებთან. მაგალითად, ჩრდილო-დასავლეთით: დიდუბე, ღრმა-ღელე, ავჭალა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით: ნავთლული, ლილო, ორთაჭალა.

მიუხედავად იმისა, რომ არსებულ ქალაქსა და ახალ სამოსახლო ტერიტორიებს მახასოს მთა ჰყოფს, მათი და სამრეწველო ზონების ურთიერთდაკავშირება მეტად მარტივად წყდება. ახალი მაგისტრალებისა და განსაკუთრებით კი მეტროპოლიტენის წრიული და გარდიგრძმო ხაზების შემწეობით.

წყლის სიჭრელე, რაც თბილისს მუდამ აკლდა, — ახალი გეგმის მიხედვით, საკმაოდ დიდი მოცულობით ქალაქის შუაგულში აღმოჩნდება. საგრძნობლად შეიცვლება მოკრამავაც. თუ აქამდის ქალაქი მტკვრის ხეობის ვიწრო ქვაბულში იყო მოქცეული, ახლა, ახალი ტერიტორიების თავისებით, იგი ზეგანზე გაიშლება.

ერთი შეხედვით, ქალაქის მომავალი განვითარების პერსპექტივები სავსებით გადაწყვეტილია. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. ქალაქის განვითარებისათვის საჭირო ფართობები ამჟამად ძირითადად უჭირავთ დიდმა, სამგორისა და კრწანისის მძლავრ საბჭოთა მეურნეობებს, რომლებიც თბილისის მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგების ძირითად ბაზას წარმოადგენენ.

გასაგებია, თბილისის მოსახლეობის დატოვება ისე, რომ მომარაგება არა ჰქონდეს, ყოველად წარმოუდგენელია, სხვა ბაზების გამონახვა კი დაკავშირებულია დიდძალ მატერიალურ ხარჯებთან, მოითხოვს გარკვეულ დროს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ახალი ტერიტორიების თავისება დიდძალ მატერიალურ სახსრებს მოითხოვს, როგორც ერთდროული დაბანდების, ისე საექსპლოატაციო ხარჯების სახით.

ᲐᲨᲙᲐᲠᲐ ხდება, რომ ზემოხსენებული მეტად საინტერესო პროექტის განხორციელება უფრო შორი დროისათვის უნდა იქნას გადადებული. ამჟამად კი საჭიროა ვეძიოთ სხვა გამოსავალი. ასეთ ღონისძიებად შეიძლება მივიჩნიოთ არსებული განაშენიანების რეკონსტრუქცია უფრო ფართო მასშტაბით, ვიდრე ეს თავიდან იყო გათვალისწინებული. ამისათვის, პირველ რიგში, საჭიროა ახლანდელი ქალაქის ფარგლებში საშუალო სართულიანობა გაიზარდოს არა 5, არამედ 7-8 სართულამდე. ზოგიერთ შემთხვევაში მოგვიხდება არა მარტო 1-2 სართულიანი ამორტიზებული შენობების აღება, არამედ გამონაკლისის სახით 3-4 სართულიანებისაც, რომლებმაც ადგილი უნდა დაუთმონ 9, 12, 16 სართულიან შენობებს.

ᲛᲐᲒᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲘ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲛᲬᲝᲕᲚᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲬᲠᲐᲤᲛᲐ ᲖᲠᲓᲐ ᲓᲦᲔᲡᲘᲜᲐ ᲓᲐᲓᲒᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ. ᲐᲛ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲠᲝᲢᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲦᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲡᲘᲫᲜᲔᲚᲔᲑᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲥᲛᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ

ეროვნული კულტურის ბურჯი

გიორგი მთაწმინდელის გარდაცვალების 900 წლისთავი

ნელს სრულდება 900 წელი ქართული კულტურის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენლის გიორგი მთაწმინდელის გარდაცვალებიდან. ქართულმა საისტორიო მწერლობამ ამ შესანიშნავ მოღვაწეს სავსებით სამართლიანად უწოდა დიდი გიორგი. მართლაც, დიდი და განუსაზღვრელია ადრეულ საუკუნეთა ამ დიდებული წარმომადგენლის ღვაწლი და დამსახურება ეროვნული კულტურის წინაშე.

შეუძლებელია აუღელვებლად გაეცნო გიორგი მთაწმინდელის საოცრად ნაყოფიერ მემკვიდრეობას. გიოცებას იწვევს ინტერესთა მრავალფეროვნება და შემოქმედებითი სიუხვე. ის იყო შესანიშნავი მწერალი, მაღალი გემოვნებისა და მეცნიერული სიზუსტის გამომვლენი მთარგმნელი, მკვირმეტყველი და ერუდიტი-თეოლოგი, ქართული კულტურის კერის ორგანიზატორი და გამჭრიახი წინამძღვარი, ფართო მასშტაბის პოლიტიკური მოღვაწე და ბაგრატ IV-ის ბრძენი მრჩეველი. ხოლო აღელვებას იწვევს სამშობლოს სიყვარულის ის უსაზღვრო გრძნობა, რომლის შთაგონებით ზღარბული ენერგიითა და თავგანწირვით იღვწოდა იგი ეროვნული კულტურის შექმნისა და განვითარებისათვის.

ფასდაუდებელია გიორგი მთაწმინდელის მრავალმხრივი და უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობა. მისი სახელის უკვდავსაყოფად მარტო ბიბლიის თარგმნაც საკმარისი იყო. ბიბლიის თარგმნას მხოლოდ თეოლოგიურ-კანონიკური დანიშნულება რადა ჰქონდა. ეს იყო იმ დროისათვის უდიდესი კულტურული მოვლენა. გიორგი მთაწმინდელის მიერ ბიბლიის თარგმნა ჩვენს სინამდვილეში ისეთივე დიდი მნიშვნელობის ეროვნული მოვლენა იყო, როგორც გერმანულად თარგმნა ბიბლიისა ლუთერის მიერ, რომლის შესახებ გოეთე ამბობდა, ლუთერმა შექმნა ახალი გერმანული ენაო. ასევე გიორგი მთაწმინდელმაც ბიბლიის თარგმნით განაპირობა ახალი ქართული ენის განვითარება.

მაგრამ, მიუხედავად ამ დიდი საქმისა, ეს მაინც მხოლოდ ერთი სფერო იყო გიორგი მთაწმინდელის უკიდურესად ნაყოფიერი მოღვაწეობისა. დღესაც, გვაოცებს, თუ როგორ შეძლო ერთმა ადამიანმა ესოდენ დიდი მასშტაბის მრავალმხრივი მოღვაწეობა; ამ თვალსაზრისით ის ღირსეული წინამორბედია ჩვენი სახელოვანი კულტურტრეგერებისა: ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძისა. ეჭვობა. პატარა ერის შვილთა ხვედრია, რომ თავიანთი გოლიათური მხრებით ზიდონ ერის დიდი ჭაპანი და თავიანთი ზეადამიანური ენერგია გამოავლინონ ეროვნული კულტურის სხვადასხვა სფეროში; ერთმა ადამიანმა იტვირთოს ათი მოღვაწის მისია, რათა მის მშობლიურ ერს ღირსეული ადგილი ევროპის ცივილიზებულ სამყაროში.

ქართველთა მიერ საზღვარგარეთ აგებული ეკლესია-მონასტრები იყო იმ დროისათვის თავისებური საკულტურო კულტურის სფეროში და იქ გაჩაღებული ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობის შედეგად. ერთი მხრივ, ქართულ ენაზე გადმოქონდათ მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევები და, მეორე მხრივ, ქართულიდან ბერძნულად თარგმნიდნენ ჩვენი სულიერი საგანძურის შესანშნავ ნიმუშებს და ამით მსოფლიოს აცნობდნენ ჩვენს ეროვნულ კულტურას.

ქართველ სწავლულთა საოცარი ენთუზიაზმის შედეგად მეთერმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში ჩვენში უკვე თარგმნილი იყო მსოფლიო კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლები და ამით მათ მოამზადეს მტკიცე საფუძველი რუსთაველის ეპოქისათვის. კერძოდ, მათი ნაამაგარის შედეგად რუსთაველის ეპოქის ქართველ მოქალაქეს შესაძლებლობა ჰქონდა მშობლიურ ენაზე გასცნობოდა მსოფლიოს ადრეულ და თანამედროვე ცივილიზაციას, რაც უაღრესად დიდი კულტურული მოვლენა იყო და მნიშვნელოვანი ფაქტორი ეროვნულ-ორიგინალური მწერლობისა და მეცნიერების განვითარებისათვის.

ასეთი დიდი მიზნებით გამსჭვალულმა ქართველმა მოღვაწეებმა მიაშურეს ათონის მთას.

ათონზე ქართველთა კოლონიის ფუძემდებელი არის სამცხის დიდებული იოანე ვარაზვაჩე ჩორდვანელი ან მისი ძმა თორნიკე.

იოანესა და ექვთიმეს მიერ წამოწყებული დიდი სახელმწიფოებრივი საქმეების ღირსეული მემკვიდრე გახდა გიორგი მთაწმინდელი.

თუ იოანემ და თორნიკემ საფუძველი ჩაუყარეს „ივერის“ მონასტერს, თუ ექვთიმემ დასაბამი მისცა ამ მონასტერში ლიტერატურულ-სამეცნიერო საქმეების წამოწყებასა და გაშლას, გიორგი მთაწმინდელმა პირადი ინიციატივით გააფართოვა და განამტკიცა ამ მონასტრის სიძლიერე, ხოლო სამეცნიერო-ლიტერატურული საქმიანობა კიდევ უფრო გააღრმავა და განსაკუთრებულ სიმაღლეზე აიყვანა. გიორგი მთაწმინდელი იყო არა მარტო დიდი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ადმინისტრაციულ თუ შემოქმედებით საქმიანობაში, არამედ თვითონ ქმნიდა უაღრესად ფასეულ მეცნიერულ თუ მხატვრულ პროდუქციას.

ჩვენდა საბედნიეროდ, ცნობები გიორგის მოღვაწეობის შესახებ საკმაოდ მდიდრად შემოგვნახა; ათონისავე მოღვაწემ, გიორგი მცირემ უაღრესად მხატვრულად და საამო საკითხავად აღწერა თავისი დიდი მოძღვრის, გიორგი მთაწმინდელის მდიდარი და მრავალფეროვანი ცხოვრების გზა.

გიორგი მთაწმინდელი დაიბადა 1009 წელს გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწის იაკობის ოჯახში.

იაკობსა და მის მეუღლეს მარიამს ექვსი შვილი —სამი ვაჟი და სამი ქალი ჰყოლიათ. გიორგი იყო მათი მესამე შვილი.

შვიდი წლის გიორგი სასწავლებლად მიაბარეს ტაძრისის მონასტერში. სამი წლის შემდეგ გადაიყვანეს იმ დროისთვის ცნობილ სამწერლობო კერაში ხახულის მონასტერში, სადაც მოღვაწეობდნენ იაკობის ძმები გიორგი მწერალი და საბა. აქ გიორგიმ გამოამჟღავნა განსაცვიფრებელი ნიჭი და სწავლის დიდი უნარი.

სწავლის გაღრმავების მიზნით ბიძამ წაიყვანა კონსტანტინეპოლში. აქ ცოდნის გაფართოებასთან ერთად გიორგიმ საფუძვლიანად შეისწავლა ბერძნული ენა.

შემდეგ მოვლო იერუსალიმი და იქიდან დაბრუნდა შავ მთაზე, სადაც დაუახლოვდა მეტად განსწავლულ ბერს გიორგი შეყენებულს. ამ უკანასკნელმა შეიცნო გიორგის დიდი მეცნიერული უნარი და ურჩია წასულიყო ათონზე, სადაც გაშლილი იყო ინტენსიური შემოქმედებითი საქმიანობა.

აქ, მთაწმინდაზე, მოელი სიღიადით გამოავლინა გიორგიმ თავისი დიდი ნიჭი. მას მიეცა სათანადო ასპარეზი პირადი უნარისა და შესაძლებლობების გამომჟღავნებისათვის. კარგად აქვს ეს მომენტი შენიშნული გიორგი მცირეს, როდესაც წერს: „რამეთუ უკეთუ არა პოოს სულოვანმან ნივთი შემსგავსებული საქმისა თვისისა, ვითარ გამოაჩინოს ბრწყინვალება საქმეთა თვისთა! ანუ ვითარ საცნაურ იქმნეს მენავეთ მოძღვარი, უკეთუ ღელვათა შინა ზღვისათა არა გამოიცადოს! განა მხედარი ვითარ გვიჩვენოსან იქმნეს და იდიდოს, უკეთუ განწყობილთა არა ეკვეთოს მრავალგზის! აგრეთვე წმიდამან ამან ოდეს მიიღო კურთხი მწყემსობისა, მაშინღა საცნაურ იქმნა ათონის ქართული მონასტრის შესანიშნავმა ტაძარმა და იქ გამლილმა ფართო მასშტაბის მღვაწეობამ თავიდანვე მიიპყრო უცხოელთა ყურადღება, ხოლო ბერძნებს გაუჩნდათ სურვილი ამ ტაძრის მითვისებისა: „ვითა ცეცხლი აღეგზნეს ჩუენზედა და სრულიად აღმოფხურა ჩუენი ენება“, შეშფოთებით აღნიშნავს მემატიანე ამის გამო. გიორგი მთაწმინდელმა მიზნად დაისახა აღეწერა ქართველთა ღვაწლი ამ დიდი კერის შექმნაში და ეანდერძა შთამომავლობისათვის, რათა ეზრუნათ ქართული კულტურის ამ შესანიშნავი ცენტრის შენარჩუნება-განვითარებისათვის.

ამასთანავე ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ „ცხოვრება იოვანესი და ექვთიმესი“ არ წარმოადგენს ათონის მონასტრის მშრალ მატიანეს, არამედ უპირველესად ის არის შესანიშნავი მხატვრული მოთხრობა, რომელიც კომპოზიციური შეკრულობით, თხრობის დინამიურობით, ხასიათთა შინაგანი ჭიდილის სიმკვეთრითა და გამოძერწვის რელიეფურობით, სურათებისა და მოვლენების აღწერის რეალისტურობით, მხატვრულ სახეთა ორიგინალობითა და სადა, ძარღვიანი ენით დღესაც საამო საკითხავია და თანამედროვე ადამიანზეც ძლიერი ესთეტიკური ზეგავლენის მომხდენია.

საჭიროა აღინიშნოს, რომ გიორგი მთაწმინდელის მხატვრული ნიჭი პოეზიაშიც გამოვლინდა. მის მიერ თარგმნილი მდიდარი პიმნოგრაფიული მემკვიდრეობა ნათელი დადასტურებაა ნაზი ლირიული განცდებისა და პოეტური კულტურისა.

გიორგი მთაწმინდელის ფაქიზ გემოვნებასა და მხატვრულ აღღოზე მეტყველებს ისიც, რომ მას შესწევს უნარი საოცრად მიმზიდველი სიუჟეტების მიგნებისა და მომხიბვლელად გამოცემისა. მისი შემოქმედების ეს მხარე განსაკუთრებით იზიდავდა და ხიბლავდა ქართული სიტყვის მეორე მოსაგეს აკაკი წერეთელს და ეს უკანასკნელი ხშირად მიმართავდა შთაგონებისათვის გიორგი მთაწმინდელს. ასე შექმნა აკაკი წერეთელმა პოემა „თორნიკე ერისთავი“ და პირი-მზისა და პირი-მთვარისას მომაჯადოებელი ეპიზოდი „ბაში-აჩუკი“. ორივე შემთხვევაში დიდი მგზსანი დაესესხა გიორგი მთაწმინდელს.

იგი იყო ბრწყინვალე მეკვირმეტყველი და უბადლო პოლემისტი. როდესაც დადგა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, გიორგი მთაწმინდელმა ანტიოქიის პატრიარქთან კამათში გამომჟღავნა არა მარტო განსაცვიფრებლად ღრმა ცოდნა, არამედ დიდი სიბრძნე, ლოგიკური აზროვნებისა და შთამაგონებელი მეტყველების მომაჯადოებელი უნარი. საქმე იმაშია, რომ იმ დროისათვის ქვეყნის ავტოკეფალიის საკითხი რიდი იყო ვიწრო ეკლესიურ-აღმსარებლობითი საკითხი, არამედ იყო ერის თვითმყოფადი კულტურის ერთ-ერთი მთავარი დამადასტურებელი არგუმენტი. ასე რომ სარწმუნოებრივი საკითხი უშუალოდ ეჯაჭვებოდა დიდ ეროვნულ პრობლემას.

ამით აიხსნება, რომ გიორგი მთაწმინდელი ილიასებური მრისხანებითა და სიფიცხით წინ აღუდგა იმ უცხოელთა შემოტევას, რომელნიც ალმაცერად უყურებდნენ ქართული ეკლესიისა და კულტურის საკითხს. გიორგი მთაწმინდელის მამხილებელმა სიტყვამ და მეკვირმეტყველურმა ოსტატობამ „განაკვირა პატრიარქი ეპისკოპოსთა თვისთა თანა სიმაზვილისა გონებისა მისისასა, რამეთუ, ვითარცა მდინარე დაუწყუედ�sელად, ესრეთ დიოდეს სიტყუანი წმიდისა წერილთანი პირით მისით“.

ბერძენ სწავლულებთან გამართულ მძაფრ პოლემიკაში გამოვლინდა გიორგი მთაწმინდელის პიროვნული სიდიადე და გამარჯვებულ ქართველ მოპაექრეს ეპისკოპოსნი და პატრიარქი მოკრძალებით და ერთგვარი შიშის გრძნობითაც შეჰყურებდნენ.

გიორგი მთაწმინდელის სახით ეროვნული ღირსების სადარაჯოზე იდგა პიროვნება, რომელიც ნათელყოფდა, რომ მშობლიური კულტურის დაცვა საჭიროა არა მარტო ხმლით ხელში, არამედ სიბრძნითა და განსწავლულობით. ის არა მარტო იკვლევდა, არამედ თვით ქმნიდა ეროვნულ კულტურას. გიორგი მთაწმინდელის მრავალფეროვანმა და ნაყოფიერმა შემოქმედებითმა მოღვაწეობამ შექმნა მტკიცე საფუძველი რუსთაველის ეპოქისათვის. მის სახელთან დაკავშირებულია საწყისი ჩვენი მეცნიერებისა; მის დიდ შემოქმედებითს მემკვიდრეობას აქვს არა მარტო ისტორიული მნიშვნელობა, არამედ დღესაც უაღრესად ფასეულია. ცხრაასი წლის მანძილზე არამცთუ არ შენელებულა ინტერესი მისი ნამოღვაწარისადმი, არამედ, პირიქით, ახლა კიდევ უფრო მეტი სიდიადით იკვეთება მისი შემოქმედების ღირსება, თანდათან უფრო ვლინდება მისი ფასდაუდებელი ღვაწლი ეროვნული კულტურის განვითარებაში, ხოლო მისი მთარგმნელობითი ოსტატობა დღესაც განუმორებლად სრულყოფილია.

რ. ბარამიძე,
შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი-თანამშრომელი.

სურათზე ათონის ივერის მონასტრის საერთო ხედი. სურათი გადაღებულია ჩვენი საუკუნის პირველ წლებში.



პირველი ჩემპიონები

ერევანში, სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ტრეკზე დაიწყო ველოსპორტში“ სსრ კავშირის თასის გათამაშება. გუშინ გამოვლინდნენ პირველი ჩემპიონები.

ვაჟთა შორის გამოდეგნებით ინდივიდუალურ რბოლაში 4 კილომეტრზე უძლიერესი რიგელი **ლაცისი** იყო (5,06 წამი). ქალთა შორის 3 კილომეტრზე გაიმარჯვა ცნობილმა სპორტსმენმა ა. პეტროვნამ (მოსკოვის ოლქი).

მოეწყო აგრეთვე სპორტერთა წინასწარი შეხვედრები. ვაჟთა შორის შემდგომ ეტაპში გავიდნენ და თასისათვის ბრძოლას განაგრძობენ ო. ფხაკაძე, ბ. რომანოვი, ვ. ლოგუნოვი ი. ცელოვალნიკოვი და სხვ.

ტურნირი კოპენჰაგენში

დანიის დედაქალაქში გრძელდება კოპენჰაგენის საჭადრაკო კლუბის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო **ტურნირი.**

მესამე ტურში გამარჯვებები მოიპოვეს საბჭოთა გროსმაისტერებმა მ. ტაიმანოვმა და ა. სუეტინმა, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიელმა საერთაშორისო ოსტატმა ვ. გორტმა.

გუშინ, მეოთხე ტურში მ. ტაიმანოვი დამარცხდა ს. გლიგორიჩთან შეხვედრაში, ა. სუეტინ-ვ. ბარკას პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

ოთხი ტურის შემდეგ სამ-სამი ქულით ტურნირს სათავეში ჩაუდგნენ იუგოსლავიელი ს. გლიგორიჩი და ავსტრიელი ა. დიუშეტინი.

მატჩი მოსკოვში

გუშინ გაიმართა კიდევ ერთი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის პირველ ჯგუფში.

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში მოსკოვის „სპარტაკმა“ მიიღო ტაშკენტის „პახტაკორი“. ორთაბრძოლა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ჩემპიონატში ვერ მონაწილეობს ბრუმელი

ყაზახეთის დედაქალაქში პირველად ეწყობა სსრ კავშირის მძლეოსანთა ჩემპიონატი. ჩემპიონატისათვის ეს ქალაქი შემთხვევით რიდი აირჩიეს. ახლა ყველა სპორტსმენი 1968 წლის ოლიმპიურ ასპარეზობაზე ფიქრობს. რასაკვირველია, ალმა-ატა მაღალმთიანი მეხიკო არ არის, მაგრამ 814 მეტრი ზღვის დონიდან ცოტა როდია.

გავიხსენოთ, რომ ამ ზაფხულში ჩვენმა სპორტსმენებმა პირველად მძლეოსნობის ისტორიაში დაამარცხეს ამერიკის შეერთებული შტატების ვაჟთა ნაკრები გუნდი. შემდეგ სსრ კავშირის ქალთა და ვაჟთა გუნდები დასავლეთ გერმანიის ქალაქებიდან კასელიდან და შტუტგარტიდან ევროპის თასების მფლობელებად დაბრუნდნენ.

ახალ რეკორდებსა და ახალ ნაცნობობას მოელიან მძლეოსნობის მოყვარულნი ალმა-ატის შეჯიბრებების შედეგად. პირველად ქალები და ვაჟები პირველობისათვის იბრძოლებენ სხვადასხვა დროს: 9-11 და 14-17 ოქტომბერს.

სამწუხაროდ, შეჯიბრებებში მონაწილეობას არ მიიღებს „ჩვენი კოსმოსური „მხტომელი, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი ვალერი ბრუმელი. უბედური შემთხვევა მოხდა: 6 ოქტომბერს საღამოს მოსკოვის ერთ-ერთი ქუჩის მოსახვევში მოტოციკლეტი, რომლითაც ოლიმპიელი ჩემპიონი მიდიოდა, გადაბრუნდა. ვალერი, რომელიც უკან იჯდა, დაეცა და მისი მარჯვენა ფეხი მოტოციკლეტის ქვეშ მოყვა. მსოფლიოს რეკორდსმენს წვივის ორი ძვალი გადაუტყდა. სკლიფოსოვსკის სახელობის ინსტიტუტში ბრუმელს ოპერაცია გაუკეთეს. მისი მდგომარეობა საშიში არ არის, მაგრამ კვლავ ვნახავთ თუ არა ხტომის სექტორში — ექიმები 3-4 დღის შემდეგ იტყვიან.

(საკდესი).

სპორტული ქრონიკა

☐ **მადრიდში** მუშაობას განაგრძობს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი. სხვა გადაწყვეტილებებთან ერთად დადგინდა, რომ გერმანია ორი დამოუკიდებელი გუნდით (დდრ და გფრ) მიიღებს მონაწილეობას მომავალ ოლიმპიურ თამაშებში.

☐ **გუშინ** თბილისში ჩამოვიდნენ ავღანელი ჩოგბურთელები. დღეს „დინამოს“ კორტებზე ისინი შეხვდებიან საქართველოს სტუდენტთა ნაკრებს.

☐ **საბჭოთა** ძიუ-დოისტთა ნაკრები გუნდი გუშინ ამერიკის კონტინენტზე გადაწინდა. იგი მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელიც ბრაზილიაში დაიწყება. ჩვენი ქვეყნის ღირსებას დაიცავენ მოსკოველი ო. სტეპანოვი და ქართველი მოჭიდავეები ა. კიკნაძე, ფ. ჩიკვილაძე და ა. ქიბროშაშვილი.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ვ. გ. ჯინჯიხაძე დანიშნა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის პირველ მოადგილედ და შეიყვანა ამ სამინისტროს კოლეგიის შემადგენლობაში.

• • •

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ზ. ი. ფორაქიშვილი დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და შეიყვანა ამ კომიტეტის კოლეგიის შემადგენლობაში.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

9 ოქტომბერი

რუსთაველის სახელობის დიდი დრამაში — სამგრომნინი ოპერა (უაბონემენტოდ), **მარჯანიშვილის სახელობის** — ანა დ' არკი (მე-18 აბონ. მე-7 წარმოდგენა), **ვასო აბაშიძის სახელობის** მუსიკალური **კომედიის** — „ჩვენი სიხარული“, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — შაითან ხიხო (№ 37 აბონ. საღ. 6 ს.).

ტელევიზია

9 ოქტომბერი

16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — თქვენთვის, პატარებო. — „ცეროდენას ეკრანი“, 17.30 — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“ (მერვე გაკვეთილი), 17.50 — გადაცემა „იცით თუ არა?“, 18.10 — ცოდნა სამეცნიერო-შემეცნებითი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — შერჩეცითი მატჩი ფეხბურთში მსოფლიო პირველობაზე — უნგრეთი-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — მეორე ნახევარი (გადმოცემა ბუდაპეშტიდან), 19.50 — ჩვენი სატელევიზიო ფიში, 20.40 — ახალი ამბები, 20.55 — მხატვრული ფილმი „ჩემკენ, სალახანებო“, 22.25 — გადაცემათა პროგრამა, 10 ოქტომბრისათვის, 22.30 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — „სპექტაკლის შემდეგ „სტანისლავსკისა და ნემეროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური თეატრის სადამო (გადმოცემა მოსკოვიდან).

„დინამოს“ სტადიონი
აკ. წერეთლის პრ. № 2.
ტელ. 5-21-62.

9 ოქტომბერს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება „ა“ კლასის II ჯგუფის გუნდებს შორის

„პოლიტოტდელი“ ტაშკენტის ოლქი — **„ლოკომოტივი“** თბილისი

დასაწყისი 17 საათზე.

ბათუმის საზღვაო ნავსადგურიდან მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იგზავნება ნავთობი და ნავთობპროდუქტები. ნავსადგურის მისადგომთან ყოველდღე დგებიან დიდი ტანკერები, რომლებიც ქართველ მენავთობეთა მიერ გადამუშავებული ნავთობპროდუქტებით იტვირთება.

ბათუმის ცენტრალური ტვირთგადასაცლელი ნავთობის ბაზის კოლექტივმა, რომელიც ტანკერის დამუშავების მოწინავე მეთოდებს იყენებს, საგრძნობლად გაზარდა ნავთობპროდუქტების ტვირთბრუნვა.

• • •

სურათზე: ტანკერები ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ნავთობჩამოსასხმელთან.

ფოტო ა. ანასტასიევისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

გასტროლებზე მსოფლიოს ხუთ ქვეყანაში

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. (საკდესის კორ.). მოსკოვის ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის კოლექტივი დღეს გაემგზავრა გასტროლებზე, რომელიც ოთვეზახევარს გაგრძელდება. დედაქალაქის მუსიკოსთა მარშრუტი ასეთია — ინგლისი, შეერთებული შტატები, კანადა, მექსიკა და კუბა.

გასტროლებში მონაწილეობენ დირიჟორები კ. კონდრაშინი და ე. სვეტლანოვი, მევიოლინეები დავით და იგორ ოისტრახები, მომღერალი გ. ვიშნევსკაია და ვიოლონჩელისტი მ. როსტროპოვიჩი.

პირველი კონცერტი გაიმართება ლონდონში.

საბჭოთა სიმღერა ულერს ნორვეგიაში

2000 კილომეტრი ნორვეგიის ფიორდებსა და გზებზე, 20 კონცერტი ორი კვირის მანძილზე — ასეთია საბჭოთა მოყვარულ მსახიობთა ნორვეგიაში საგასტროლო მოგზაურობის შედეგი. ეს უკვე მეორე ვიზიტია. საბჭოთა პროფკავშირების მხატვრული თვითმოქმედების მონაწილენი ნორვეგიაში პირველად იყვნენ 1963 წელს. მაშინ მათ კონცერტები გამართეს სამხრეთ ნორვეგიაში. გასტროლების დიდი წარმატების შედეგად „ნორვეგია-სსრ კავშირის“ საზოგადოებამ მეორედ მიიწვია საბჭოთა მსახიობები. და აი ახლა საბჭოთა სიმღერა ულერდა ჩრდილოეთ ნორვეგიაში. კონცერტები გაიმართა ქალაქებში ტრომსში, ბერლევაგში, ჰამერფესტში, ჰარშტადატში, ჰონინგსვოგში, მუშათა და მებადურთა დაბებში.

— ნორვეგიელმა მეგობრებმა, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ჯგუფის ხელმძღვანელმა ი. მ. პოპოვმა, — გვთხოვეს შეგვესრულებინა ეროვნული სიმღერები, ცეკვები, საბჭოთა კომპოზიტორების პოპულარული ნაწარმოებები. მათ ძალიან მოეწონათ მომღერლები — ბორკის ავტოკარხნის მუშა ტ. ნიკიტინა და მოსკოველი ინჟინერ-რკინიგზელი დ. ტარასოვი, მოცეკვავენი — თბილისის პლასტმასის ფაბრიკის მუშა ნ. ჯანდიერი, მოსკოველი ლაბორანტი ტ. ილინა, ბათუმის ხე-ტყის ტარის კომბინატის ოსტატი ლ. ჯანიშვილი.

სახალხოთ შევიტყვეთ, რამდენი გულწრფელი მეგობარი ჰყოლია ჩვენს ქვეყანას ნორვეგიაში, რა პატივისცემით ეკიდებიან აქ საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას.

ჯიმინ ნიუანი პატარავდება

ამ მდიდარ საჭადრაკო შემოდგომაზე ბევრი საზრუნავი გვაქვს. „გუნშემატკივრობა“, ძირითადად, შორი მანძილიდან გვიხდება. ამას წინათ ჭადრაკის საბჭოთა მოყვარული სასაიამოვნოდ გააოცა იმან, რომ ტურნირი ჰავანაში მაინც ვ. სმისლოვმა მოიგო.

მაინცო, იმიტომ ვამბობ, რომ საბოლოო გამარჯვება თითქმის განაღდებული ჰქონდა ბ. ივკოვს. მაგრამ იუგოსლავიელმა გროსმაისტერმა ორივე უკანასკნელი პარტია წაგო! ამრიგად, მან „ისეთივე ნომერი გააკეთა“, როგორიც 1964 წლის დამლევს მილუნკა ლაზარევიჩმა, რომელმაც ვერ შეძლო ორ პარტიაში მოეგოვებინა ნახევარი ქულა, რაც მას უფლებას მისცემდა ახლა ნონა გაფრინდაშვილთან ბრძოლაში ყოფილიყო ჩაბმული.

ამ დღეებში ჭადრაკის სამყარო ინტერესით ადევნებდა თვალს ერევნის ტურნირს. უცნაური ია, რომ ერევნის კედლებიც კი ვერ დაეხმარნენ იქაურ საყვარელ და სათაყვანებელ ტ. პეტროსიანს. ამაში „ბრალი მიუძღვის“ ვ. კორჩნოის. მან გვიჩვენა, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდების მქონე მოჭადრაკე ჭადრაკის სამყაროს მთავარსარდალაც კი არ შეუწინდება.

ჭადრაკის სამყაროს თვალი ასეთივე ინტერესით იქნებოდა მიპყრობილი თბილისზე. მსოფლიოს ჩემპიონი ქალთა შორის თავის წოდებას მშობლიურ ქალაქში რომ იცავდეს.

ჩვენ ვცხოვრობთ სასწაულების საუკუნეში, ტექნიკის სრულყოფის საუკუნეში. კაცობრობა დედამიწაზე ხედავს ვ. ტერეშკოვას ღიმილსაც კი კოსმოსიდან და ამიტომ თბილისის მრავალტანჯული გულშემატკივრისთვისაც არც ისე საშინელია, რომ ნონა რიგაშია. მე ხოხუმში ვიუავი როცა მატჩის პირველი პარტია გთამაშდა. ჩავრთე ტელევიზორი. ძალიან ოპერატიულად და ზუსტად გვიჩვენეს მთელი პარტია (თამაშის დამთავრებიდან უკვე 30 წუთის შემდეგ!). მინდა მივთხოვოთ თბილისის ტელევიზიის სტუდიას ასეთი ინიციატივა და ოპერატიულობა.

ამ პირველ პარტიაში ნონა გაფრინდაშვილმა ფრიად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. ჯერ ერთი, მან გამარჯვა, როცა შავებით თამაშობდა, მეორე — არ ვიცი ქალებს შორის როგორ არის, მაგრამ კაცებში თვითეულს კარგ ნიშნად მიაჩნია პირველი პარტიის მოგება. მიაჩნიათ, რომ მატჩს მოიგებს ის, ვინც პირველ პარტიაში გაიმარჯვებს (გამონაკლისი იყო მ. ბოტვინიკ — ტ. პეტროსიანის მატჩი). ასეთი ცრურწმენა მოჭადრაკეებს გამოუმუშავდათ 1927 წლის შემდეგ, როცა ა. ალიოხინმა შავებით პირველი პარტია, შემდეგ კი გიგანტური მატჩი მოუგო ხ. რ. კაპბლანკას.

ნონა გაფრინდაშვილისათვის როდის უფრო ადვილი იყო თამაში — ელისაბედ ბიკოვასთან თუ ალა კუშნირთან? თუმცა ე. ბიკოვა 1962 წელს მსოფლიოს ჩემპიონი იყო, ალა კუშნირი კი ახლა „მხოლოდ“ პრეტენდენტია, ვფიქრობ, რომ უფრო რთული ამოცანა სწორედ ახლა აქვს ნონას. ე. ბიკოვამ მაშინ ვერც ერთი პარტიის მოგება ვერ შეძლო. ალა კუშნირი ბანაგაზრდა, ენერგიული, ჯანღონითა და ოცნებებით აღსავსე მოჭადრაკეა. ერთი სიტყვით, კუშნირი უფრო საშიშია, იმიტომ რომ ე. ბიკოვაზე ძლიერად თამაშობს. ალამ გვიჩვენა, რომ სუსტი ნერვები როდი აქვს. არ შეიძლება ითქვას, რომ მან დარტყმაზე დარტყმით უპასუხა, იმიტომ რომ მეორე პარტიაში მისი გამარჯვება უფრო გაფრინდაშვილის დარტყმა იყო „საკუთარ კარში“. მაგრამ ასე იყო თუ ისე, ანგარიში გახდა 1:1!

მესამე პარტიაში ალა კუშნირი ძალიან ახლოს იყო იმასთან, რომ ხელთ ეგდო ლიდერობა. მაჯერად ბევრი ძალიან სწყალობდა ნონას, რომელიც პარაშუტით გადარჩა.

მე მგონია, რომ სწორედ ამ ყაიმმა და არა პირველ პარტიაში დამარცხებამ ძალიან გაუფუჭა გუნება კუშნირს. ლიდერობის მიღწევა სწორედ ის არის, რაზეც ესოდენ ძლიერად ოცნებობს პრეტენდენტი! მოგებული პარტიის გაფუჭებამ მოჭადრაკისათვის ყოველთვის უფრო საწყენია, ვიდრე თუნდაც წაგება.

სტარტმა გვიჩვენა, რომ ჩვენს პროგნოზებში არ შეეშცდარვართ: ალა კუშნირი ძალიან სერიოზული პრეტენდენტია. სწორედ მესამე პარტიის შემდეგ მიხვდა ამას ნონა და მთელი ძალღონით ”ამუშავდა.

ნონა და ალა თეორიულად კარგად ფლობენ ბ. ტალს, მან, როცა ლ. პორტიშსა და ბ. ლარსენს ეთამაშებოდა, ცხრა პარტიიდან 7,5 ქულა მოაგროვა.

რამდენადაც ნონა გაფრინდაშვილსა და მ. ტალს ჭადრაკში ერთნაირი გემოვნება და ხასიათი აქვთ, ნონაც თამაშს მხოლოდ მეფის პაიკის სვლით იწყებს.

რა თქმა უნდა, „ძლიერ მიწოდებას“ — პირველ სვლას — ჭადრაკის პარტიაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არაფერს არა წყვეტს. უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ თამაშობს შემდეგ ძლიერად ან, როგორც ხშირად არის ხოლმე პრაქტიკაში, ვინ უშვებს... უკანასკნელ შეცდომას. თუ მეოთხე და მეხუთე პარტიას



რ. ბარამიძე,
შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი-თანამშრომელი.

სურათზე ათონის ივერის მონასტრის საერთო ხედი. სურათი გადაღებულია ჩვენი საუკუნის პირველ წლებში.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 8-22-93, მრეწველობის — 8-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90. უცხოეთის — 8-15-63, წერილების — 9-78-24, ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 8-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УО 12228 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 9